# შინაური საქმეები.

ყოველ-კვირეული გაზეთი

№ 11.

ფასი ერთი შაური

ფლიური ფასი 1 მან.

წელიწადი მეხუთე.

## კვირა, 25 მარტი 1912 წელი


# ქრისტე აღსდგა!


„შინაური საქმეები“ ყოველ-კვირეული გაზეთი

სასტამბოში № 17). და თბილისში გამოგზავნილთან სიბრძნის ბაზარში, სიმონიანცის შუაში მაღაზიაში. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

ფასი:

წლიური ფასი: 4 მანეთი. || ნახ. წლიურ: 2 მანეთი. || სამ თვეში: 1 მანეთი. || ერთი თვეში: 2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფასის შეტანა წლიურ ფასის მოწერილობას ვიძლევა ასე, გაბეწილდეს: თვიდან 2 მ. და 1 იანვარს 2 მ. განცხადების ფასი წინა გვერდზე ბეტონით სტრიქონი ორი შაური, ულანსენელზე 7 კ.

ადგილი: ქუთაისი: „შანსეფა საქმეების“ რედაქცია.



**შინაარსი:** 1) ქრისტე აღსდგა—ანოფრე მწირისა; 2) ჰეშმარიტად აღსდგა (რუსულით)—არხ. ნესტორისა; 3) აღდგომა (ლექსი)—რ. საჯავახოელისა; 4) ქრისტიანული სიყვარულის შესახებ—ფილიპე სი—ძესი; 5) რაფაელის სურათის „მადონა“-ს წინ—ბესიკისა; 6) მატერიალიზმი (გაგრძელება); 7) მგზავრის შენიშვნები—ხომლელისა; 8) სიტყვა, თქმული მღვდლის მოვალეობაზე, მღვდლათ კურთხევის შემდეგ—მღ. გერასიმე ხაჟომიას მიერ; 9) მოწოდება—სახ. გაზეთიდან.


## ქრისტე აღსდგა!

„ჰოი საღმრთო, ჰოი ყოვლად საყვარელი, ჰოი ტკბილი ხმა, რომლითა აღმოჩქვა უტყუელად ჩვენთანა ყოფა, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, რომელი გვაქვს წინდად სასოებისა მორწმუნეთა და ვიშვებთ მარადის“ (საეკლ. გალობა.)

რა არის ყველაზე უძვირფასესი ადამიანისათვის? მე მგონია, ყველა დამეთანხმება, რომ ასეთია ერთად ერთი **სიყვარული**. ვის არ უგრძვნია სიტყვით გამოუთქმელი ნეტარება სიყვარულისა? ვის არ განუცდია იგი, აღმაფრენი და აღმამაღლებელი, წარმტაცი და მომხიბლავი? მისი ცხოველ-მყოფელი სხივები უხვად განფენილია მთელ მსოფლიოში, მისი ძირი ღრმად ჩანერგულია მთელ ჩვენ არსებაში, იმის ნაზ და ღვთიურ ძაფებით მოქსოვილია მთელი ადამიანი, მისი ტკბილი ბუნება ერთგულად და ერთგულად ახმატკბილებს მთელ

კაცობრიობას. სიყვარულის მშობლური კალთა თანასწორად გახსნილია ყველასათვის: საწყალსა და დაბეჩავებულს, უქონოს და ულონოს იმდენადვე მიუწვდება მისთვის ხელი, რავდენად მაღალსა ზედა მჯდომარესა და ძლიერებით შემოსილს; სევდიანი—დაკოდილი, სენითა და ჭირით მოცული გული იმდენ მშობლურ ალერსსა და ნუგეშს პოულობს მასში, რავდენსაც სიცოცხლით სავსე და ბედნიერებით მოთამაშე არსება.

რა იქნებოდა სიცოცხლე სიყვარულის უმისოდ?—უშინაარსო ლანდი, ცივი გაყინული სამარე. აბა დააკვირდით თავსა! სიყვარული არ არის, რომ ამოძრავებს, ანათლებს ჩვენს ცხოვრებას? იგი არ არის წყარო, დედა, თავი და ბოლო ყველა ჩვენი სულის ძვირფას ლტოლვისა? იგი არ არის, რომ დაბადებიდანვე მჭიდროდ მიგვისვენებს თავის ტკბილსა და მშობლურ მკერდზე და კუბოს კარამდე შეუწვეტლად და დაუღლელად გვიმღერის სიცოცხლისა და ნუგეშ-იმედის ჩამბერავ ნანას?

ასეთია ბუნება სიყვარულისა, მაგრამ სულ სხვაა წესი და რიგი ცოდვასა შინა მდებარე დედამიწისა. სიყვარული სამარადისოა, სიცოცხლე კი მსწრაფლ-წარმავალი, სიყვარული აღმერთებს ადამიანის, პიროვნებას —სიკვდილი ანაცარ-მტვერებს მას, სიყვარული აკავშირებს,—სიკვდილი შლის და არღვევს, სიყვარული აფრთოვანებს ადამიანს,--სიკვდილი ცხარე ცრემლებით რეცხს მის დანაოჭებულ სახეს, სიყვარული სიცოცხლისა და შვენიერების სხივსა ფენს ქვეყანას,—სიკვდილი სიყვარულის კუბოსამარედ ხდის მას. საწერტელი სიკვდილისა გვიწყვეტს სამარადისო ძმობა-ერთობის ძაფებს, თვალიდან გვტაცებს ძვირფას პირებს, თიშავს საყვარელ არსებათ და მწარე ტრაგედიით ათავებს ჩვენს სიცოცხლეს, ჩვენს საყვარელ მისწრაფებებს და წმიდა გრძნობებს. ეს მწარე ტრაგედია ფარავს ადამიანის საბედისწერო საკითხს: სიკვდილი დასძლევს თუ სიცოცხლე? ნუ თუ ჩვენი წმიდა გრძნობა სიყვარულისა ცივ სამარეში სამუდამოდ ჩაიმარხება? პასუხი სიყვარულშივეა ჩამარხული. ღრმად და ნათლად აქვს გახსნილი ეს პასუხი სიყვარულისა ერთ ჩვენ ნიჭიერ მწერალს თავის საინტერესო დრამაში: „უეცარი ტალღა“... შავი ზღვის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ მონასტრისკენ მოეშურება ვიღაც ჭაბუკი. მისი თმა-აწეწილი, დაღალულ-დაქანცული სახე მოწმობს, რომ მისი გული ღრმა მწუხარებითაა მოცული. ეს არის ურწმუნო, უმაღლეს სწავლა-დამთავრებული არჩილი. ვერაგ ავაზაკებმა ტყვიით განგმირეს მისი ახლად დანიშნული სიცოცხლე და სატრფო ლელა, გაწყვიტეს ძაფი, რომელიც ღრმა და წრფელ სიყვარულით აერთებდა ამ ორ კეთილ და მაღალ გრძნობებით გამსჭვალულ ადამიანს. თავზარ-დაცემული არჩილი მონასტერს მოაშურებს, სადაც ბიძა მისი ექვთიმე ბერადაა შემდგარი. მოვისმინოთ სიყვარულის ხმა, დამწვარ გულიდან ამოხეთქილი. არჩილი. მაგრად ეხვევა ექვთიმეს და მწარედ ქვითინებს: „როცა ჩაქრა ჩემი კანდელი, აღარ მინათებდა ცხოვრების გზას, სადღა წავსულიყავ!.. ვილასთან წავსულიყავ!.. და—გზა აბნეულმა, მეხ-დაცემულივით გონება-აბნეულმა ისევ აქ მოვაშურე... რით ვინუგეშო თავი?.. რიღასთვის ვიცოცხლო? სად წავიდე? რა ვეძებო? რა ვაკეთო გონება არეულმა, გზა დაკარგულმა, სიცოცხლე მოწამლულმა!.. ოხ, ღმერთო! ღმერთო! საიდან შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში ეს უეცარი ტალღა, რომელმაც მომისპო მშვიდობიანობა, დამინტვრია ცხოვრების ნავი და ისე დამტოვა სახტად გაშლილ აბობოქრებულ ზღვაში!? ეხლა სადღა ვეძებო შველა! საიდღა გავიკვლიო გზა!, ო, ლამაზო მინდორ-ველო! როგორღა დავსტკბე თქვენი მშვენებით, როცა ჩემი თვალები აღარას დროს არ გაშრებიან ცრემლებისაგან?.. ო, ცელქო ჩიტებო! როდისღა გავიგონებ თქვენს ჭიკჭიკს, როცა ჩემ გულში განუწყვეტლივ იზუზუნებს ის ტყვია, რომელმაც გაუგმირა გული ჩემს სიცოცხლეს, ჩემს ნეტარებას?.. ო, ო, მზეო! ვეღარც შენი სხივები გაათბობენ ჩემ გულს, რადგან იქ ჩაჰქრა ის მოგიზგიზე ცეცხლი, რომელიც შენზე მეტად მათბობდა, მახარებდა... დასჭკნი აყვავებულო ბუნებავ! რადგან როცა გული მკვდა-

რია, შენი სილამაზეც, შენი სიკეკლუცეც მკვდარია ჩემთვის, მკვდარია!.. სად შეეღაღადო ეს უსამართლობა! ვისთან ვიჩივლო, მამაო? ლელიკო! ჩემო მოწყვეტილო ვარსკვლავო, ჩამქრალო სიხარულო! წამიყვა მეც შენთან! რად დამაობლე? რად დამაობლე?.. ხუ თუ შენგან შენი სახელის მეტი აღარაფერი არ უნდა დამრჩეს მე ობოლ-საბრალოს?! ო, ლელა! სადა ხარ? როგორ ვიწამო, რომ სამუდამოდ გაქრა ქვეყნიერობაზე შენი არსებობა, როგორ ვიწამო, როცა მე მხოლოდ ამ რწმენით-ღა შემიძლიან ვიცოცხლო კიდევ, თუ ამის შემდეგ ჩემს სიცოცხლეს კიდევ დაერქმევა სიცოცხლე!.. არა! ლელა ისევ ცოცხალია! ის უნდა სცოცხლობდეს სადმე!.. და თუ მე არ შემიძლიან, შენ მაინც ილოცე, მამაო! შენ მაინც ილოცე დაუვიწყარ ლელასთვის, კარგ ლელასთვის, საყვარელ ლელასთვის!..“ (უეცარი ტალღა ლევ. მეტრეველისა. „დროების“ დამატ. 1909 წ. № 31).

სიყვარული არ გაქრება! ბნელი სამარე ვერ შეძლებს მის დაკავებას! ამას მოწმობს სიყვარულივე და ვინ წინააღუდგება მის ყოვლის მპყრობელ მოწმობას? ქრისტე აღსდგა! პირმშო სიცოცხლე სიყვარულის გამარჯვებისა! ვისაც ვიღვივის გულში ზენაური გრძნობა წმიდა სიყვარულისა—გაიხარე! შენი სიყვარული სამუდამოა! ვისაც შეუბრალებელმა სიკვდილმა მოგტაცა სიყვარული, ბნელ საფლავში ჩაგიმარხა საყვარელი პირი,—ნუ სტირ! დღეს სიყვარულის დღესასწაულია! ქრისტე აღსდგა, და საფუძველი დაედო ყოველთა აღდგომას! სიყვარულმა გაიმარჯვა! სიყვარული საუკუნოა! რა გულით მსურს გავიმეორო სვანთა პაპების ღრმა და მაღალი საადდგომო მილოცვა: „ქრისტე აღსდგა! გიხაროდესთ, ვისაც გესმოდესთ, არა გესმოდესთ: პირსა და პირმეტყველსა, კაცსა და პირუტყვსა, ტყესა და კლდესა, ქრისტე აღსდგა, გიხაროდესთ!“

ონოფრე მწირი

# „ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲐᲦᲡᲓᲒᲐ“.

მოთხრობა

(რუსულიდან გადმოკეთებულმ).

I.

ასკალაონისკენ, ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს იქით წყნარა ჩაესვენა მზე, რომლის უკანასკნელი სხივები ოქროს ფრად მოეფინა იერუსალიმის კოშკებს და დაღვრემილ გოლგოთას, სადაც ამ ერთი დღის წინ გარდამოხსნეს ჯვარიდგან ეკლის გვირგვინით დაგვირგვინებული მიცვალებული,

ყვითელი ფერი მოეფინა მაშინ უკანასკნელად მოწამის შუბლს; მოეფინა, გაბრწყინდა და გაქრა, როგორც უკანასკნელი ამბორი საბრალო დედისა, რომელიც უსაზღვრო სასოწარკვეთილების სიტყვებით მოეხვია შვილის დატანჯულ სხეულს:

„ვაიმე, ტკბილო იესო, ძეო ჩემო!..
ვითარითა ხელითა შევეხო უხრწნელსა ხორცსა შენსა?
ანუ ვითარითა არმენაკითა წარგრაგნო?
ანუ რა საგალობელი გიგალობო? ვაიმე, ტკბილო იესო!..“

და, ცდილობდა რა, რომ თავისი ხელით მოეხადა მოწამებრივ შუბლიდან ეკლის გვირგვინი, რათა მკირეოდნად მაინც შეემსუბუქებია ტკივილი ეკლის ჩხვლეტისაგან, რომელსაც უკვე მკვდარი თავი აღარ გრძნობდა, მაგრამ რომელიც უგმირავადა მას, დედას, გულს, ის დაეცა უგრძნობლად შვილის მახლობლად, და გრძნობაში მოვიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც იქ გარეშემო მდგომარე და გულ ამოსკვნით მტირალე დედებმა ჯვარცმულის მოწაფის იოანეს დახმარებით აიყვანეს ივი ხელით და მიიყვანეს უბრალო პატარა სახლში, სადაც ის რამოდენიმე დღის წინათ მივიდა პასექის შესაგებებლად.

მზე თანდთან ეშვებოდა დ ბინდმა მოიცვა არე მარე,—და მალე მთელი ბუნება სიბნელეში გაეხვია. დაღვრემილი გოლგოთა, გეთსამანიის ბაღი, მდუმარე ციხე და მთელი დიდი ქალაქი,—ყველაფერი მდუმარე ღამის ბნელ უფსკრულით დაიფარა, სანამ, დაბოლოს, ცის კიდეში მთვა-

რემ არ ამოაშუქა და თავის საიდუმლოებით მოცულ მკრთალი სხივებით არ გაანათლა საშინელი შემთხვევის ადგილი.

გოლგოთაზე აღარავინ იყო, და მხოლოდ მთვარე ცის კამარიდან დაყურებდა ჯვრებს და ახალ საფლავს, რომელზედაც დაედვათ დიდი ლოდი და პილატეს ბეჭდით დაებეჭდათ და რომლის მახლობლად იარაღით ხელში ისხდნენ რამოდენიმე რომაელი დარაჯნი, დაყენებულნი საფლავის დასაცველად. იერუსალიმშიაც ყველაფერი დამშვიდებული იყო. ანნა და კაიაფა უზრუნველად განისვენებდენ სიონის სასახლეში, თითქო იმათ ერთი დღის წინეთ არ აეყვანოთ ქვეყნისაგან ეს **მართალი**, თითქო არა იმათ ამოეგლიჯოს გული საცოდავ დედისა, თითქო იმათ არ დაედვათ ხალხის მხარზე მძიმე ტვირთი ცოდვებისა, მღაღადებელი სისხლისაგან მართლისა.

მთვარე მედიდურათ და დამშვიდებით მიცურავდა ლურჯად მოკრიალებულ ცაზე და, როგორც ლამპარი კაცობრიობის საფლავზე, ანათებდა სამარისებურ სიბნელეს, რომლითაც დაფარული იყო დედამიწა.

## II.

იმ შაბათის შემდგომ ღამეს იოანე, რომელსაც იესომ ჯვარზე მყოფობის დროს მიანდო ზრუნვა თავის დედაზე, უნდა წასულიყო კლეოპას სახლში, სადაც ქრისტეს ყველა მოწაფენი შეკრიბილიყვნენ. მარიამი დარჩა მარტო. სახლი, რომელშიაც ის იდგა, შედგებოდა ოთხი ოთახისაგან და ერთი სრული სადგომისაგან, საიდანაც ცალკ-ცალკე ყველა ოთახებში გადიოდა კარები.

ერთ ოთახის კუთხეში, სამფეხზე იდგა ლამპარი, მეორე კუთხეში მის პირდაპირ იდვა განმზადებული ლოგინი, ხოლო მის მახლობლად ერთი სტოლი და ერთი სკამი. სტოლზე იდგა ებრაელების კანონების, წიგნი გაშლილი თორა; სტოლზემოთ კედელზე ეკიდა ორი პირსახოცი; ხოლო ოთახის ყველა კედლებზე გარშემო მიდგმული იყო ტახტები, ნოხებით დაფენილნი. ოთახს ჰქონდა ორი ფანჯარა ხის ჩარჩოებით და ორივე გეთსამანიის ბაღისკენ იყო მოთავსებული.

იესო ყოველთვის ამ ოთახში ცხოვრობდა, როცა ის იერუსალიმში მიდიოდა პასექის დღესასწაულის დროს. იმავე სახლის მეორე ოთახში ცხოვრობდა მარიამიც. და აი იმ ღამეს ის თავის ოთახში სრულიად მარტოდ-მარტო დარჩა. დედანი, რომელთაც წინა-ღამე მასთან გაატარეს, წავიდნენ თავ თავის სახლებში და ახლა ამ სახლში მარიამის გარდა სხვა არავინ არ იყო. დაღლილ-დაქანცულობით და მეტისმეტი სულიერი ტანჯვით ღონემიხდილი, ის იჯდა თავის ლოგინზე, მუხლებზე ხელები დაეწყო და ხანდახან ნელის ხმით წამოილაპარაკებდა იესოს წვალებაზე. ალერსით სავსე სიტყვები, რომელთაც ღრმა მწუხრებაში მყოფი საბრალო დედა წარმოსთქვამდა ღამის მყუდროებაში, უერთდებოდნენ შუალამის ნიავით ამოძრავებულ ხეების ტოტების და ფოთლების ნელ შრალს.

ნამდვილი შუალამის დროს, როცა უკვე მთელი ბუნება უშფოთველ ძილს მისცემოდა, და ძაღლის ყეფაც კი არსაიდან ისმოდა,—ის შეკრთა; მას მოეჩვენა, რაღაც კარების ახლო გახმაურდა. მან მიიხედა იქითკენ და სმენად გარდაიქცა, მაგრამ ყველგან გარშემო დიდი მყუდროება სუფევდა. მხოლოდ მთვარე ხეების ტოტებთ შუა თავის მოყვითალო ფერით გამოიყურებოდა და ფერმკრთალად ანათებდა იატაკს და ლოგინს, რომელზედაც მარიამი იჯდა.

ბოლოს ის ადგა ლოგინიდგან, გააღო კარები და გაემართა ქრისტეს ოთახისაკენ. როცა მივიდა ქრისტეს ოთახის კარებთან, სული შეიგუბა, კარებს ყური მიადვა და ყურის გდება დაიწყო. ის ეგრე იქცეოდა ყოველ ღამეს, როცა ძე მისი იქ იყო. მაშინ ის ფეხ-აკრეფით მიდიოდა ხოლმე, მიაყურებდა და, რაკი გაიგონებდა მძინარის მშვიდ სულისთქმას, ფეხ-აკრეფითვე გამობრუნდებოდა თავის ოთახში, რომ ცოტათი თითონაც მოესვენა. ის ახლაც ეგრე მოიქცა. მაგრამ რისთვის?.. ახლა ხომ იესო ოთახში არ იყო... ათრთოლებული ხელით შეაღო კარები და ოთახში შეიხედა. იქ

ყველაფერი მდუმარებდა. ლამპრის მკრთალი სინათლე შეშინებულსავით კრთოდა. დაბალ-ჭერზე ირხეოდნენ ფანჯრის წინ ამოსული. მთვარის სინათლით განათებული ხეების ტოტების ჩრდილნი. ის შევიდა ოთახში.

თითოეული კუთხე, თითოეული მცირე ადგილი ამ ოთახისა მოაგონებდა მას იესო ქრისტეს. აი ის კუთხე, რომელშიაც იესო დიდი ხნობით დაჩოქილი იდგა დილის და საღამოს ლოცვის შესრულების დროს და გამოითხოვდა თავის მამისაგან კაცობრიობის ცოდვების მოტევებას.

მარიამი ათრთოლდა, დავარდა შვილის ლოგინზე და დაიწყო მწარეთ ტირილი და გოდება.

— შენ რისთვის გაცვეს ჯვარს?!. ზეციერო მართალო! მეც რისთვის თან არ წამიყვანე?!..

მარიამი ცოტათი ღამშვიდდა, დაეშვა ლოგინზე და მიეცა ღრმა ფიქრებს. მას არ უხილავს თავის თვალით, როგორ ეამბორა იესოს იუდა და მისცა ის ჯალათებს ხელში, არ დასწრებია ის მაშინაც, როცა იესოს დაადგეს თავზე ეკლის გვირგვინი და შემოსეს მას ძოწეული, არ უხილავს მას არც ის, თუ ბრბო როგორ იყრიდა მუხლს მის წინ, დასცინოდა და ეტყოდა: „გიხაროდენ, მეუფეო ურიათაო!“

დიახ, ესენი მას არ უნახავს,—მაგრამ მან ნახა ჯვარზე ტანჯვა იესოსი, და ეს მეტად დიდი ტანჯვა იყო დედის გულისთვის, მაშინ მახვილმა განვლო მის გულში. გულკეთილნი დედანი თავიანთ ტანისამოსის სახელოებს აფარებდნენ მას თვალებზე, რომ არ დაენახა როგორ დააწვინეს იესო ჯვარზე, როგორ მიაჰედეს ის ლურსმნებით ჯვარზე,— მაგრამ ჩაქუჩის დაკვრის ყრუ ხმა ცხადად ესმოდა და საბრალო დედას მეტად ძლიერ უგმირავდა გულს. მან დაინახა ის ჯვარზე თავდახრილი, ღია თვალებით და ეკლის გვირგვინით, რომლის ქვეშ ერთი მეორის შემდგომ მოგორავდნენ სისხლის მსხვილი წვეთები. დიახ, ეს იხილა საბრალო დედამ და გულშეწუხებული მოეხვია ჯვარს.

ხოლო ის?.. ის ითმენდა, ითმენდა ყვრიმალში ცემასაც, კიცხვასაც, გინებასაც; მოწყალე თვალით უყურებდა თავის მკვლელებს, და, როცა ისინი სიცილ-ხარხარით ყვიროდნენ: „თუ შენ ძე ღვთისა ხარ, მოახდინე სასწაული და ჩამოდი ჯვარითგან!“—მან აღაპყრო თვალნი ზეცას და ვედრების ხმით წარმოსთქვა: „მამაო, მიუტევე მათ, რადგანაც არ იციან, რას შვრებიან!“ ოხ! ის ეკლის გვირგვინი! ის ეკლის გვირგვინი! ოხ! რატომ მან არ მოხადა ის თუნდ მაშინ მაინც, როცა ის ჯვარიდგან გადმოხსნეს!.. ოხ! რა სატანჯველს გამოიცლიდა ის!..

და, იჯდა რა შვილის ლოგინზე გულზე ხელებ დაკრებილი, მარიამი ტანჯვით ფიქრობდა ამაებზე. ანძრევდა თავის დაღლილ თავს და ცრემლებს აფრქვევდა თვალთაგან.

საშინელი გოლგოთა სამუდამოთ მის ფიქრებში ჩაქსოვილიყო.

ერთი მეორის შემდგომ აგონდებოდა მარიამს თვითოეული წამი ჯვართან გატარებული და თვითოეული წამი დატანჯულ-დაქანცულ მის სულს მძიმე ლოდივით ეცემოდა. თვითოეული წამი მისთვის ახალი გოლგოთა იყო. ამ აზრების სიმძიმემ მოხარა მისი დაღლილი სხეული; ძლიერ დაღლილობის და დიდი ხნის უძილობისა გამო მას თვალები ეხუჭებოდა და ძილი შეუმჩნევლად მოერია.

III.

არ გასულა რაოდენიმე წამი და მარიამს უცბათ გაეღვიძა და გაკვირვებით დაიწყო ოთახის თვალიერება. მთვარის სინათლე ხეებსშუა თან-და-თან ქრებოდა, ხოლო ჭერზე ხეების ტოტების და ფოთლების ჩრდილნი ერთი მეორის შემდეგ იკარგებოდნენ. ოთახში სრული მყუდროება სუფევდა, არაფერი არ ისმოდა, გარდა ჩამწვარ სანათის სუსტი ტკაცანისა,—სანათის, რომელიც ცის კამარაზე მყოფ ვარსკვლავის კრთომას მოგაგონებდა და ძლივს თავის გარშემო ანათებდა. მას მოეჩვენა, ვითომც მის მახლობლად გაიშრიალა თეთრმა კვართმა (პერანგმა) და მერმე ეს კვართი მეორე კუთხისაკენ წავიდა.

ხოლო ის?.. ის ითმენდა, ითმენდა ყვრიმალში ცემასაც, კიცხვასაც, გინებასაც; მოწყალე თვალით უყურებდა თავის მკვლელებს, და, როცა ისინი სიცილ-ხარხარით ყვიროდნენ: „თუ შენ ძე ღვთისა ხარ, მოახდინე სასწაული და ჩამოდი ჯვარითგან!“—მან აღაპყრო თვალნი ზეცას და ვედრების ხმით წარმოსთქვა: „მამაო, მიუტევე მათ, რადგანაც არ იციან, რას შვრებიან!“ ოხ! ის ეკლის გვირგვინი! ის ეკლის გვირგვინი! ოხ! რატომ მან არ მოხადა ის თუნდ მაშინ მაინც, როცა ის ჯვარიდგან გადმოხსნეს!.. ოხ! რა სატანჯველს გამოიცლიდა ის!..

და, იჯდა რა შვილის ლოგინზე გულზე ხელებ დაკრებილი, მარიამი ტანჯვით ფიქრობდა ამაებზე. ანძრევდა თავის დაღლილ თავს და ცრემლებს აფრქვევდა თვალთაგან.

საშინელი გოლგოთა სამუდამოთ მის ფიქრებში ჩაქსოვილიყო.

ერთი მეორის შემდგომ აგონდებოდა მარიამს თვითოეული წამი ჯვართან გატარებული და თვითოეული წამი დატანჯულ-დაქანცულ მის სულს მძიმე ლოდივით ეცემოდა. თვითოეული წამი მისთვის ახალი გოლგოთა იყო. ამ აზრების სიმძიმემ მოხარა მისი დაღლილი სხეული; ძლიერ დაღლილობის და დიდი ხნის უძილობისა გამო მას თვალები ეხუჭებოდა და ძილი შეუმჩნევლად მოერია.

III.

არ გასულა რაოდენიმე წამი და მარიამს უცბათ გაეღვიძა და გაკვირვებით დაიწყო ოთახის თვალიერება. მთვარის სინათლე ხეებსშუა თან-და-თან ქრებოდა, ხოლო ჭერზე ხეების ტოტების და ფოთლების ჩრდილნი ერთი მეორის შემდეგ იკარგებოდნენ. ოთახში სრული მყუდროება სუფევდა, არაფერი არ ისმოდა, გარდა ჩამწვარ სანათის სუსტი ტკაცანისა,—სანათის, რომელიც ცის კამარაზე მყოფ ვარსკვლავის კრთომას მოგაგონებდა და ძლივს თავის გარშემო ანათებდა. მას მოეჩვენა, ვითომც მის მახლობლად გაიშრიალა თეთრმა კვართმა (პერანგმა) და მერმე ეს კვართი მეორე კუთხისაკენ წავიდა.

მარიამი შეკრთა, რაღაცა მოულოდნელმა შიშმა შეიპყრო ის და რაღაც გამოურკვეველ მოლოდინში მყოფი ლოგინიდგან გადმოვიდა, აიღო ლამპარი და ოთახის თითეული კუთხე მიიარ-მოიარა და დაათვალიერა; რადგანაც ვერაფერი ნახა, გააღო კარები და სხვა ოთახებშიაც შეიხედა. ლამპარს სიბნელეში ლაპლაპი გაჰქონდა, ხოლო დაღვრემილ ღამის ჩრდილს ოთახები მოეცვა და ლამპრის სინათლეზე ქრებოდა, მაგრამ როცა მარიამი ლამპარს მეორე კუთხისკენ წაიღებდა, კედლებს ისევ ჩრდილი ეფინებოდა...

მარიამი, რაკი ვერაფერი ნახა, ისევ დაბრუნდა იესოს ოთახში, ლამპარი თავის ადგილას დადგა და ისევ ლოგინზე ჩამოჯდა. დაღლილს, სულით დაქანცულს ძილი ერეოდა. თავში ირეოდნენ და ქრებოდნენ ფიქრები; მის მახლობლად რაღაც ხმაურობა გაისმა; თვალის ქუთუთოები დაეხუჭა მაგრამ,სანამ ღრმა ძილს მიეცემოდა, კიდევ მოეჩვენა, რომ ოთახში ვიღაც დადიოდა. ერთი წამის შემდგომ მან იგრძნო, რომ ვიღაც მისი პირის სახისკენ გადმოიხარა და გარკვევით სუნთქავდა. მან მოინდომა თვალების გახელა, მაგრამ თვალების ქუთუთოები ტყვიასავით დამძიმებულიყვნენ და თვალები ვერ გაახილა; მოინდომა ამდგარიყო, მაგრამ დაღლილ-დაქანცული სხეული არ ემორჩილებოდა, და ის ისევ უძრავად მწოლარე და თვალებ დახუჭული დარჩა.

უეცრად მარიამმა იგრძნო თავის შუბლზე მხურვალე ამბორი და სწრაფად წამოდგა ლოგინიდგან. მისი გული აჩქარებით ძგერდა.

თვით ლოგინთან იდგა ის, ვიზედაც მარიამი ეგრე რიგად სწუხდა. ფერ მკრთალი, ნაწამები, მაგრამ ზეციური ნათლით გასხივოსნებული, ის, დამშვიდებული, აღერსით უცქერდა. მას თავზე კიდევ ედგა ეკლის გვირგვინი, ხოლო პირი სახეზე კიდევ აჩნდა სისხლის წვეთების ჩამონადენი კვალი. ხელებზე და ფეხებზე მოჩანდენ ღრმა ჭრილობანი.

— შვილო ჩემო! წამოიძახა მარიამმა და გაშალა ხელები მოსახვევად.

— დედა კაცო! ნუ სტირ!— უთხრა მარიამს იესომ,—ძე შენი აღსდგა საფლავით.

— შვილო ჩემო! მხსენელო ჩემო! კვლავ ნულარ დამტოვებ—ეეედრებოდა დედა და მოეხვია მუხლებზე.

— ჯერ კიდევ არ შეიძლება შენი წამოსვლა იქ, სადაც მე მივდივარ.—მიუგო მან, ფრთხილად მოიშორა მუხლებიდგან მისი ხელები და კარებისკენ წავიდა.

— არა, არა, ოხ! კიდევ თუნდ ცოტა ხანს... მოიცადე, ძეო ჩემო საყვარელო!... მე მინდოდა მეთხოვა შენთვის... ეეედრებოდა ის და უცქეროდა შუბლზე.

იესო გაჩერდა.

— ჰო, წარმოსთქვა მარიამმა,—განა შენ არ გჩხვლეტს და არ გიძრავს ტკივილს ეს ეკლის გვირგვინი? ძეო ჩემო! სიხარულო ჩემო! ნება მომეცი დედა შენს შეგიმსუბუქო ტანჯვანი შენნი... და მან ორივე ხელი გაიშვირა, რომ მოეხადა მისთვის მოწამებრივი გვირგვინი.

— არ შეეხო მას,—უთხრა იესომ.—ეს არის საჩუქარი, რომლითაც დედამიწამ დააგვირგვინა საქმენი მართლისა. მე ის უნდა მიუტანო ღმერთს, მამა ჩემს... დედა დაეცა მის წინ მუხლებზე, შეხედა მას უკანასკნელად—და მკვდრეთით აღდგომილი მიეფარა —უხილავი შეიქნა.

## IV

მოისმა კარებზე ძლიერი რახუნი.

— გაგვიღე კარი!

ესენი იყვნენ მენელსაცხებელნი დედანი, რომელნიც ამ ღამის გათენებისას უნდა წასულიყვნენ საფლავზე, რათა ეცხოთ ნელსაცხებელი დასაფლავებულის სხეულისათვის.

— გაგვიღე კარი! იძახოდენ ისინი.

მარიამი მივარდა კარებს და გააღო.

მენელსაცხებელნი დედანი შეშფოთებულნი, შეშინებულნი საჩქაროდ შემოვიდნენ ოთახში,

— იჩქარე,—უთხრეს მარიამს,— საფლავზე სასწაული მოხდა....

— რა სასწაული?! შეეკითხა მარიამი.

დარაჯნი, რომელნიც შეშინებულნი მირ-

ბოდენ საფლავიდგან, ამბობდნენ, რომ ძე შენი—ქრისტე აღსდგა.

— ჭეშმარიტად აღსდგა!—მიუგო მარიამმა.

არქ. ნესტორისა.

# ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐ.

შუაღამეა, ზეცაში
ანგელოსთ სიხარულია,
ცა მოკაშკაშე ვარსკვლავით
მოჭედილ-მოქარგულია.
აღმოსავლეთით კაბადონს
აშვენებს შუქი ნათლისა,
ციმციმ—კაშკაშით მოცელქობს
ვარსკვლავი განთიადისა.
მზე ამობრწყინდა დიდებით,
სხივები სტყორცნა ბუნებას,
ოქროს ისრებსა სროლილობს,
ამკობს ღვთის ყოველ ქმნილებას.
—ზეცის მნათობნო, გვიამბეთ:
რისგან-ა გამოწვეული
თქვენი დიდებით მოსილი
საერთო დღესასწაული?
—საერთო გამოძახილი
მოისმა: **ქრისტე აღდგაო!**
დაიმსხვრა რკინის ბორკილი,
მონობის ჯაჭვი გაწყდაო!
— პირქვე დაემხო სატანა,
ეშმაკი აებარგაო,
ჯოჯოხეთს ბნელი ძალები
დაერღვა, დაეკარგაო!...
დღესასწაულობს ბუნება,
მთები—მთებს ეხმაურება;
**ქრისტე აღსდგაო**- გასძახის,
დასტკბესო ქვეყნიერება!
გუნდი და გუნდი მფრინველთა
ტკბილ ხმა-მწყობრითა გალობენ,
ბულბული ქარგავს ყველას ხმებს,
ყველა კი, ზეცას მადლობენ.
სულიერი და უსულო
გასძახის: **ქრისტე აღსდგაო!**
პირქვე დაემხო სატანა,
მონობა დაიკარგაო.
ის აღსდგა, ჩვენც აღგვადგინა,
ვმადლობთ, ფეხთ ვკოცნით, ვემთხვევით,
მაგრამ რა! ჩვენ მაინც ვმრუდობთ,
არ ვდგებით, პირქვე ვემხობით.
კაცი რომ აღარ მრუდობდეს,
ნეტავი ის დრო დადგება?
ან კიდე: ქრისტე ხომ აღსდგა,
ჩვენთვის მეორეთ აღსდგება?!

რ. საჯავახოელი.

## ქრისტიანული სიყვარულის შესახებ.

„ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთ არს“ (იოან. XIII 36)

ცხრამეტი საუკუნე შესრულდა, რაც ეს დიდ მნიშვნელოვანი სიტყვები წარმოსთქვა იესო ქრისტემ. პირველად ეს სიტყვები მოციქულების მიმართ იყო მიმართული. მოციქულებმა თანახმად მოძღვრის სურვილისა იწყეს ქადაგება მთელს მაშინდელ რომის იმპერიაში და მით ნათელ ჰყვეს, რომ ისინი ქრისტეს მოძღვრების ნამდვილნი მიმდევარნი იყვნენ. ადვილი წარმოსადგენია ის დამცირება, დევნა და წვალება, რომელნიც განიცადეს მოციქულებმა წარმართ ულმობელ ხელთაგან. მთელი მაშინდელი რომის იმპერია უზნეობის მორევში დასცურავდა (რომ. I, 21,—32), მთელი კაცობრიობის ავლა-დიდება უმცირესობის ხელთ იყო, უმრავლესობა კი მისს გაუმაძღარ გულის გასართობი სათამაშო ნივთი იყო. ადამიანი ნამდვილად ველურ მხეცს დამზგავსებულიყო, სიყვარული მოყვასისადმი სრულიად არ იყო. აი ასეთ დროს მოციქულები, გამსჭვალულნი თვის მოძღვრის დარიგებით, ყოველგან და ყოველთვის უშიშრად მოუწოდებენ წარმართ (ურწმუნოთ) უკუაგდონ შური, მტრობა, წინანდელი ველური ცხოვრება და ერთი მეორესადმი სიყვარულით გაიმსჭვალონ. მოციქულები ქადაგობდნენ, რომ ადამიანთა შორის გარჩევა არ უნდა იყოს, ადამიანი შექმნილია „ხატად და მსგავსად ღვთისა“. ქრისტე მოვიდა ქვეყნად და ჯვარს ეცვა მთელი კაცობრიობისათვის.

მისთვის ერთია მდიდარი, გინა ღარიბი, წარჩინებული, გინა დამცირებული, „წარმართი, ურია, წინა-დაცვეთილი, გინა წინა-დაუცვეთელი, სკვითი, გინა“.... (კოლ. III, 11). ყველა ესენი ადამიანებია და ამიტომ მათ შორის სიყვარული უნდა მეფობდეს და არა სიძულვილი. თითონ პირველმა ქრისტიანებმა ნათელ-ჰყვეს ის, რასაც მოციქულები ქადაგობდნენ. მათ შეიყვარეს მოყვასი თვისი, როგორც თავი თვისი. სულიერი მოთხოვნილება ხორციელზე მაღლა დააყენეს. „ყოველნივე მორწმუნენი“ იყვნეს ერთბამად, და აქვნდა ყოველივე ზოგად და დაბნებსა და მონაგებსა განყიდდეს და განუყოფდეს მას ყოველთა, ვითარცა ვის რა უხმდა.“ (საქ. მოციქ. II, 44—45). იქონია რაიმე გავლენა მოციქულების სიყვარულზე ქადაგებამ და პირველ ქრისტიანეთა სიყვარულით გამსჭვალულმა ცხოვრებამ, მოახდინა რაიმე ცვლილება წარმართ კერძო, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში? ამას მტკიცებაც არ უნდა. ვინც ცოტათი მაინც გაცნობია საეკლესიო ისტორიას, ის დარწმუნდებოდა, რომ ქრისტიანულ სიყვარულზე ქადაგების ნაყოფი დიდი იყო. საშინელის სისწრაფით, როგორც ელვა-მოედვა მოციქულების ქადაგება მთელ ქვეყანას, მზის შუქივით შეანათა ცხოველ-მყოფელმა ქრისტიანულმა სიყვარულმა დაბნელებულ წარმართ ცხოვრებაში და, როგორც მეხი, დაამტვრია და გაანადგურა მათი სათაყვანებელი კერპები. ასეთია ძალა ძლევამოსილ ქრისტიანულ სიყვარულისა.

მოციქულებმა ჩვენ გადმოგვცა ქრისტეს სწავლა. მივიღეთ ჩვენ ქრისტეს მოძღვრება? მიღებით კი მივიღეთ, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ და დიდად საუბედუროთ კი არ ვასრულებთ. ასრულებას ვინ ჩაივის, აღარც სურვილი გვაქვს მისი აღსრულებისა, ისე გაიტაცა ჩვენი არსება მიწიერმა ინტერესებმა, ისე ჩანთქა ამ ქვეყნის წარმავალმა გრძნობებმა უუმაღლესი მცნება ქრისტესი, რომელიც წარუვალი და მარადისია.

შეიძლება საშუალება არ გვქონდა, ძალა არ შეგვწევდა მის აღსასრულებლად?

მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო, თვალი გადავავლოთ იმ სიმდიდრეს, რაც ჩვენ ხელთ გვაქვს. რა გვაკლია? მგონია, რომ ერთის მეტი — გარდა მოყვასისადმი სიყვარულისა — არაფერი არ გვაკლია. რა დარჩა ადამიანს დაუმორჩილებელი? წინეთ წარმოდგენაც არ ჰქონდათ ჩვენ წინაპრებს, ეხლა კი ადამიანმა თვის ჭკუა-გონების საშუალებით მიწაშიაც ჩაიხედა და ყველაფერი გაიგო, თუ როგორი ნიადაგია რამოდენიმე ათი ვერსის სიღრმეში. დედამიწა კიდი კიდემდე მოვლო. გამოიგონა ორთქლმავალი, დააგო რკინის ლიანდაგები და მით ერთი ქვეყნიდგან მეორე ქვეყანას გადასვლა გააადვილა. გამოიგონა ელექტრონი და მისი ძალით მაღალ მთებზედაც კი ადის. დაიმორჩილა წყალიც. ეს თვალ-უწვდენელნი ზღვები, რომელთა ულმობელ ტალღებს ბევრი ადამიანი უმსხვერპლია, დღეს ადამიანის მონა-მორჩილად გამხდარა. წინათ ზღვის დანახვა თუ შიშის ზარსა ჰგვრიდა ადამიანს, დღეს თავისუფლად შეიძლება ოკეანეშიაც გემებით მოგზაურობა. ამ ბოლო დროს ადამიანი ჰაერსაც იმორჩილებს. — ერთი სიტყვით, ადამიანი არაფერს არ სტოვებს გაუგებარს ქვეყანაზე. ასეთმა აღმოჩენებმა, ასეთმა კულტურამ ადამიანს ბედნიერება არ უნდა მიანიჭოს? როგორ სურათსა ვხედავთ? ბედნიერება აკრძალული ხილია, უბედურება კი თან-და-თან ფესვებს იდგამს. არ იქნა ვერ დამყარდა კაცთა შორის ბედნიერება, არ იქნა ვერ ამოისუნთქა თავისუფლად ადამიანმა. მერე ვინ არის დანაშაული? ჩვენდა საუბედუროთ ისევ ჩვენა ვართ. თავმოყვარეობამ შებოჭა მთელი ჩვენი არსება. ეგოიზმი ულმობელი მტერია ჭეშმარიტ სიყვარულისა; ეგოიზმი მთელი კაცობრიობის დამამცირებელია. ადამიანს, რომელიც „ხატად და მსგავსად ღვთისა“ შექმნილია, ეგოიზმი პირუტყვს უთანასწორებს. ამ ულმობელი სენითაა შეპყრობილი ჩვენი ოჯახი და საზოგადოება. შვილები მშობლებს არ ემორჩილებიან; ეგოისტურ ინტერესებით შეპყრობილნი მხოლოდღა თავის თავზედა ფიქრობენ. მოციქულის დარიგებანი დავიწყებულია (ეფეს. VI, 1—5),

რასაკვირველია, ასეთ წევრთაგან შემდგარი საზოგადოება ვერ იქნება უნაკლო. აქაც გვარი-შვილობას, ჩამომავლობას, შენ-ჩემობას ფესვები მაგრად გაუდგამს. ერთმანეთისადმი შური, კინკლაობა, დაბეზღება ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა. გინდა რაიმეს გაკეთება, რომელსაც ნამდვილი ქრისტიანული ხასიათი აქვს, ათასი დამაბრკოლებელი მიზეზები გეღობება წინ, რომელთა მიწიერი ხასიათი აქვს. რამდენი ღარიბები, რამდენი „ლაზარენი“ გამოუგდია ეგოისტურ ცხოვრებას გარეთ! ვეღარც „ნამუსრევისაგან, გარდმოცვივნებულისა ტაბლისაგან მდიდრისა“, იკვებება, რომ ამ ქვეყნად ცხოვრება შესძლოს. „შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“—სთქვა ქრისტემ. ჩვენ კი ჩვენთვის ყველაფერი გვინდა, ჩვენი მოყვასისათვის კი არაფერი. ასეთია ჩვენი ცხოვრების სურათი.

ჩვენ კი ვამბობთ, რომ განათლებულ დროში ვსცხოვრობთ. ჩვენი თავი შეგნებულად მიგვაჩნია. მაგრამ ის რა განათლებაა, თუ არა გაუნათლებლობა, ის რა შეგნებაა, თუ არა შეუგნებლობა, თუ ბოროტება იმარჯვებს, თუ ჩვენი ყოფა-ცხოვრება ბოროტებაზე აგებულია.

ყურადღება მივაქციოთ, თუ რა შეუძლია ჭეშმარიტ სიყვარულს. იესო ქრისტე მთელი კაცობრივობისათვის ჯვარს ეცვა. განა შეიძლება მისი აღწერა და დაწვრილებით წარმოდგენა, რაც მან ჩვენთვის დამცირება, წვალება განიცადა? აი რას მოგვითხრობენ მოციქულები: „განჰსძარცვეს იგი და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას და შეჰსთხზეს გვირგვინი ეკალთაგან, და დაადგეს თავსა მისსა, და ლელწამი მიჰსცეს მარჯვენესა ხელსა მისსა... და ჰნერწყვიდეს მას, და მოიღეს ლელწამი, დაჰსცემდეს თავსა მისსა... და რომელნიმე ყვრიმალსა ჰსცემდეს... დასდვეს მას ზედა ჯვარი (რომელზედაც ის უნდა გაეკრათ), მიიყვანეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქვიან თხემისა ადგილი, და მუნ ჯვარს აცვეს იგი (მათ. XXVII, 28—30, 39, XXVI, 67, ლუკ. XXIII, 26.). — სრულიად უდანაშაულოდ დაინთხა გოლგოთას მთაზედ ქრისტეს უმანკო სისხლი. ამისდა მიუხედავად იესო ქრისტემ კაცობრივობა მაინც არ დაივიწყა. ჯვარზედ გაკრული კაცობრიობისათვის ლოცულობდა: „მამაო! მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან (ლუკ. XXIII,34). აი რა შეუძლია სიყვარულს ჭეშმარიტს, უმწიკვლოს და უანგაროს.

თუ ქრისტემ ჩვენ ასე შეგვიყვარა, ჩვენც უნდა გვიყვარდეს ის. მისი მცნება: „ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყუარებოდეთ ურთიერთარს“— უნდა დაედვას საფუძვლად ყოველივე ჩვენ მოქმედებას. არავითარმა ამ ქვეყნიერმა ინტერესებმა არ უნდა დაგვავიწყოს ის. ადამიანი პირუტყვი ხომ არაა, რომ მხოლოდ მიწიერ ინტერესებით იყოს გამსჭვალული, მისი უაღრესობა სხვა ქმნილებასთან შედარებით იმაში გამოიხატება, რომ მასში სცხოვრებს სული უკვდავი. მაშ, ხორციელ ინტერესებს გარდა, მას სულიერიც აინტერესებს. უკანასკნელი ხორციელზე მაღლა უნდა იქნას დაყენებული, თორემ ჩვენს და პირუტყვს შუა არავითარი გარჩევა არ იქნება. ყოველივე ხორციელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ადამიანს ადამიანობას დაუკარგავს, ეგოიზმს გაამეფებს და სიყვარულს მოყვასისადმი ჩაჩრდილავს. ადამიანი მხოლოდ მაშინ აღასრულებს თვის დანიშნულებას, როცა ის მოყვასისადმი სიყვარულით გაიმსჭვალება. მხოლოდ სიყვარულით გამსჭვალული ადამიანია. სრული ადამიანი. სიყვარული აშორებს ადამიანს დედა-მიწას და აღჰყავს ის მაღლა-მაღლა—ცამდე. „სიყვარული აერთებს ცასა და დედამიწას.

მაშ ქრისტიანენო! შევიგნოთ ძალა ქრისტიანულ სიყვარულისა. გავიმსჭვალოთ მისი ძლევა—მოსილობითა. ნამდვილი ბედნიერება მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა ჩვენი ეგოიზმით გაჟღენთილი გული დაივიწყებს შურს, მტრობას, ამპარტავნებას და შუქ-მფინარე სიცოცხლის და სიკეთის სიყვარულის მზის ქვეშ განისვენებს. როგორც მზის სხივების გავლენით ჰქრება ნისლი და ჰაერი იწმინდება, ისე ქრისტიანული სიყვარული გაჰფანტავს ჩვენი გუ-

ლიდგან ყოველივე ბოროტებას და „დაჩაგრულებს ამ ქვეყნისას“ შევვაყვარებს.

მაშ ვეცადოთ ქრისტეს მცნების აღსრულებას. მხოლოდ მისი აღსრულებით შეიქნებით ნამდვილი ქრისტიანები.

ფილიპე სირაძე.

# რაფაელის სურათის „მადონა“-ს წინ.

შთაბეჭდილება.

(ვუძღვნი ძვირფას მამულიშვილს ეპისკოპოზს ლეონიდს).

ნუ სტირ მადონა, ნუ ღვრი ცხარე ცრემლთ!
ნუ გეშინია, მოიეც გული!
ჯერ არ მოსულა შენი იესოს
ჟამი წამების და აღსასრული.

* * *

ნუ სტირ მადონა! გულს ნუ ჩაგიკრავს
ქვეყნისა მხსნელი ნაზარეველი!
ჩვენთვის იშვა და ჩვენივე ხსნისთვის,
ჯვარზე გაეკვრის.... შეუდრეკელი!

* * *

ნუ სტირ! სტიროდეს მხოლოდ ის დედა,
რომელიც შობს შვილს უქმსა ქვეყნისთვის.
შენ კი იხარე, იხარე მარად!
შენი იესო ჯვარს ეცმის ჩვენთვის.

ბესიკი.

# მატერიალიზმი. [1])

(გაგრძელება.)

ამნაირათ მატერიალიზმი უძლურია აგვიხსნას სახეთა წარმოშობა ნივთიერების სამფლობელოშიც; უფრო ცხადათ სჩანს მისი უძლურება ადამიანის სულიერ მხარის ახსნა-განმარტებაში.

მატერიალიზმი არც კი სცდილობს სულის ცნების განსამარტავად,—იგი პირდაპირ უარყოფს მას. მართლაც და რანაირათ უნდა მომხდარიყო, რომ ამ სამარადისო ნივთიერებას წარმოეშვა სული, რომელიც მასვე (ნივთიერებას) იკვლევს და შემდეგ ზიზღით აცხადებს, რომ იგი უძაღლესია მაზე—მატერიაზე! და ამას იგი ამბობს სრული უფლებით, რადგან, რასაც იკვლევენ, ე. ი. გამოსაკვლევი, ყოველთვის უფრო დაბლა დგას მკვლევარზე.

სარწმუნოება, სასოება და სიყვარული მატერიალისტისთვის მეტათ ძნელი ასახსნელი მა-

[1]) იხ. „შინ. საქ. № 9.

ტერიის პროდუქტებია[2]). მატერიალიზმი სიხარულით წარმოიდგენდა მას, როგორც კიდეც ქნა ერთმა ფრანცუზმა, როგორც ქიმიურ შეერთებულებას, რომელსაც მყოფადი ადამიანი ლაბორატორიებში დაუწყებს მზადებას. ეს ცნებები მეტისმეტათ მოუხერხებელია მისთვის; ყველა ხალხების რელიგია (სარწმუნოება) მას ფარისეველთა გამოგონილ ხალხის გასაბრიყვებელ სიზმრებათ მიაჩნია. მისი განმარტება ძალიან ღარიბია საბუთებით და სრულიად საკმარისი არ არის ისტორიული მხრით.

6,000 წლის განმავლობაში მთელი ხმელეთის ზრუგზე ჩრდილო პოლუსიდან ვიდრე სამხრეთ პოლუსამდე ადამიანი, ვინც უნდა იყოს იგი, ინდიელი თუ ესკიმოსი, გოტენტოტი თუ ტუნგუზი, ქედს იხრის ორი ძალის წინაშე, კეთილი ძალისა და ბოროტი ძალის წინაშე, რომელთა ურთიერთ შორის ბრძოლას ხედავს და გრძნობს, როგორც გარეშე ბუნებაში ისე თავის საკუთარ არსებაშიც. საიდგან დაიბადა ეს ყოველ ხალხთა შორის დიდებული, უცნობი „რაღაცას“ გრძნობა; რომელიც არავის არ უხილავს და რომელსაც ყველა კი გრძნობს: „ვინ გაბედავს,—ამბობდა ჯერ კიდევ სენეკა,—თქმას, რომ ღმერთები არ ზრუნავენ ჩვენზე? განა არ ესმისთ მათ მლოცველი ხმები, განა ვერ ხედვენ იგინი ხელებს, ცათადმი აღპრობილს“?

მატერიალიზმი ვერ გვიხსნის არა თუ მხოლოდ სიცოცხლის წარმოშობას, არამედ, სიკვდილის მოვლენასაც, რომელსაც იგი ნივთიერ მოვლენათა რიგს აკუთნებს, ხოლო ჩვენ სულიერს.—სიკვდილი ეს ძლიერი ძალა, რომელიც სწყვეტს მთელ სიცოცხლეს, არ არის ბუნებრივი მოვლენა, იგი არაბუნებრივი მოვლენაა, რომელიც გარედგან შემოვარდნილა ცხოვრებაში. ამას მოწმობს შიში სიკვდილის წინაშე—შიში საყოველთაო ყოველი ქმნილებისათვის. თუ სიკვდილი, როგორც მატერიალისტები ამბობენ. „არის ბუნებისგან დანიშნული მიზანი ცხოვრებისა“, მაშინ სიკვდილს სრული დაკმაყოფილება უნდა მოჰქონდეს, როგორც მიზნის მიღწევას **და კიდეც სანატრელი უნდა იყოს ადამიანისათვის, როგორც სხვა ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, როგორც მაგ. შიმშილის, წყურულის და სხ.**[3])

მაგრამ ასეთი შეხედულება სრულიად არაა სარწმუნო. სიბერით სიკვდილი ყველაფერზე უფრო არა ბუნებრივია. არც ერთ ბავშს არ მოუვა თავში გკითხოსთ: რატომ ცოცხლობს მოხუცი? მაგრამ მას ყოველთვის შეუძლია გკითხოსთ: რატომ მოკვდა იგი?

სრულებით შემცდარია ჩვეულებრივი წარმოდგენა, ვითომ ადამიანის სხეული სიბერეში მოცვეთილი მანქანა იყოს. ადამიანის სხეული არ არის მკვდარი მანქანა, რომელიც მოძრაობს ორთქლით ან სხვა რაიმე ძალით; იგი წარმოადგენს ორგანიზმს, რომელიც თავის შორის იპყრობს დანაკარგის აღმადგენელ ძალებს. სრულებით გაუგებარია რატომ არის, რომ ბავში, როცა ჩვეულებრივი კვებით გასაზღვრულ ჰასაკს მიაღწევს, უეცრად თავს ანებებს ზრდას, სვამს და ჭამს კი ისე, როგორც წინეთ. კიდევ უფრო გაუგებარია და აუხსნელი, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ ეს ბავში, რომელიც უკვე კაცად იქცა, იწყებს ღვეევას, კლებას, პატარავდება და, ბოლოს, კვდება, ე. ი. მასში ჰქრება სიცოცხლის ყველა ძალები; ბუნებაში ჩვენ ხომ ერთი მაგალითიც არა გვაქვს ძალების ასე გამოლევისა. საბუთად მოჰყავთ, ჩვეულებრივ, ძვლების გამაგრება, რომ სიბერეში იგინი ფაშხვნადი ხდებიან, მაგრამ ამ მოსაზრებას არ შეუძლია რამე განგვინმარტოს. სარწმუნოთ ცნობილია, რომ ადამიანის სხეული იცვლება არა თუ მხოლოდ 7 წელიწადში ერთხელ, არამედ იგი იცვლის თავის შემადგენელ ნაწილებს ყოველ სამ წელიწადში და ამასთან ნივთიერების გაცვლა-გამოცვლა სხვა და სხვა ადამიანში და სხვადასხვა სხეულის ნაწილებში სხვადასხვა-ნაირად წარმოებს. ამასთან 75 წლის მოხუცს უკვე ის სხეული აღარ აქვს, რაც 5 წლის წინეთ ჰქონდა. რატომ არის მაშ, რომ ერთი და იგივე სიცოცხლის ძალი არ იძლევა

[2]) ნაყოფი.

[3]) კურსივი ჩვენია.

სიბერეში ისეთსავე სხეულს, როგორსაც—სიჭაბუკეში, მიუხედავათ ცხოვრების უკეთესი პირობებისა, მაგ. უკეთესათ კვებისა, ხანგრძლივი მოსვენებისა და სხეულის მეტი მოვლისა? რატომ არის, რომ, მიუხედავათ მშვენიერი კვებისა, ეს სიცოცხლის ძალები უარს ამბობენ სხეულის ახალ ნივთიერებათა შეძენაზე, რატომ არის, რომ კაცი ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა გოკვდეს მხოლოდ სიბერის სისუსტის გამო, თითქო ძალა ან ნივთიერება, ყოველ გვარი ფოსფატი და გიდრატები[4]), ბერდებოდენ?!

მატერიალიზმის თვალსაზრისირით კიდევ უფრო აუხსნელია სულიერი სიკვდილი, სულის სიკვდილი, ვიდრე სხეულისა. ამ სულიერ სიკვდილს, რომელსაც თან არ სდევს არავითარი განსაკუთრებული ხორციელი ვნება, ძლიერ ხშირად გრძნობენ დამნაშავენი და ღვთის მგობარნი. სინდისის მხილებით და მყობადი ნაცვალგების შიშით დატანჯულნი, იგინი გადაჭრილათ ამტკიცებდენ, რომ აქვე, ამ დედამიწაზედვე, განიცდიან ჯოჯოხეთის წამებას; ამ ნაცვალგების მოლოდინის არსებობის უარყოფა შეუძლებელია; და აი სწორეთ ამას, სხვათა შორის, ვერ აგვიხსნის მატერიალიზმი. სასიკვდინეთ დაჭრილმა კონკვისტადორმა, რომელიც ტყვე ინდიელებით ძაღლებს ჰკვებავდა, თავის მხლებლის კითხვაზე: „სად გტკივაო? მიუგო: „სულშიო“! ეს მაგალითი პირდაპირ მატერიალიზმის წინააღმდეგ ლაპარაკობს. იმისვე წინააღმდეგ ლაპარაკობს მშვენიერი, მშვიდობიანი სიკვდილი ქრისტიანისა. როცა იგი კვდება, ჩვენ ყურადღებას იმდენათ თვით სიკვდილის აქტი კი არ იპყრობს, რამდენათაც სიცოცხლის ჩანელება ადამიანში იმ წუთიდან დაწყებული, როცა ადამიანი ეუბნება თავის თავს: „ეხლა მე უნდა უჩინარი შევიქნეო“! ამ დროს ადამიანის სახეზე კრთის არა ქვეყნიური ნათელი, და ხშირათ მის სიტყვებში ისმის სიმართლე არა ამის ქვეყნისაგანი. ყველა ამას უნდა ჰქონდეს თავის რეალური საფუძველი.

რამდენათაც მატერიალიზმი სუსტათ ხსნის სიცოცხლის აღორძინებას და სიკვდილის მოახლოებას, იმდენათვე სუსტათ ხსნის იგი ცხოვრების უბრალო ნივთიერ მოვლენებს. რანაირათ შეიძლება, მაგალითად, შესანიშნავ და ჩვეულებრივ ადამიანთა ტვინის ასე მციროედენი განსხვავებით აიხსნას ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს ამ ორ ადამიანთა ბედიღბალ შორის. მაგ. პეტრე დიდი, რომელმაც ნახევრათ ველურ ხალხებისაგან შექმნა მსოფლიო სახელმწიფო მხოლოდ თავის ძლიერი ნებით, ან ბისმარკი, რომელმაც 40 მილიონი გერმანელი აიძულა თავის პლანების განსახორციელებლათ, —ეს კაცები, რა თქმა უნდა, ისტორიულათ მილიონჯერ უფრო შესანიშნავია, ვიდრე ვინმე მეჯინიბე, რომელიც იმდენივე ტვინის პატრონია.—რაში მდგომარეობს მიზეზი ასეთი განსხვავებისა? ტვინის რაოდენობაზე ლაპარაკი აქ თითქმის შეუძლებელია, ხოლო მისი თვისების მხრით სრულიად საკმარისი არ არის ამის ასახსნელათ სახეში მივიღოთ უჯრედების ფაქიზი და წმინდა ნაშენობა,—მაგრამ შევხედოთ საგანს მეორე თვალსაზრისით: რომელიმე პროვინციალურ პატარა ქალაქში კვდება ვინმე მოხუცი უცოლშვილოთ გადასული კაცი. არა თუ მთელ ქვეყნიერების ცხოვრებაზე, მის ახლომახლო მეზობლების ცხოვრებაზედაც არაფერ გავლენას არ მოახდენს ეს სიკვდილი. მაგრამ აი კვდება ალექსანდრე მაკედონელი და ქვეყნიერება თითქოს დაქცევას აპირებს. მატერიალისტების შეხედულობით ორივე შემთხვევაში მოხდა ერთი და იგივე, ე. ი. დეზაგრეგაცია ტვინის ნივთიერების 1200 გრ. და ადამიანის ხორცის და ძვლების 80 კილ., რომლებიც ორგანიულ შეერთებიდან არა ორგანიულში გადვიდენ. თუ მხოლოდ ამაშია საქმის ვითარება, მაშ რაღა შუაშია აქ მთელი ქვეყნიერების შენძრევა, რომელიც ალექსანდრეს სიკვდილმა გამოიწვია?

შემდეგ, თუ მყოფობა, სიცოცხლე უდიდესი ბოროტებაა,—აზრი, რომელიც საფუძვლათ დაედვა ერთი ცნობილი მატერიალისტის მსოფლ-მხედველობას,—მაშინ ჩინგიზ—ყაენი, რომელმაც 70,000 კაცის თავის კომკი ააშენა,

4) სხეულის შემადგენელი ელემენტების სახელებია. მთარ.

ტარკვემადა, რომელმაც 8,000 კაცი დასწვა კოცონზე, ან ერთი ჩინელი გერენალი, რომელიც სამი თვის განმავლობაში დღეში ათას კაცს სჭრიდა თავს, უნდა დავსახოთ კაცობრიობის უფრო მეტ კეთილის მყოფლებათ, ვიდრე, მაგალითად, ანრი დიუნანი და სხვები. მატერიალისტების თვალსაზრისით რომ დავაფასოთ გარემოება, დიდი სასჯელის ღირსია ის დედა რომელიც უვლის და პატრონობს თავის დაშავებულ რეგვენ შვილს და ამასთანავე ხშირათ თავის საკუთარ სიცოცხლეს საფრხეში აგდებს, დიდი სასჯელის ღირსია, რადგან ერთი მხრით სრულიად უსარგებლოთ აგრძელებს ტანჯვით სავსე სიცოცხლეს, ხოლო მეორე მხრით სწირავს ამ საქმეს თავის საკუთარ ჯანღონეს!

ამ ნაირათ მატერიალისტების შეხედულებებს რომ დავენდოთ, ისეთ ამოცანების ქვეყნებს დაგვიყენებს თვალწინ, რომლებსაც ვერ წარმოიდგენს ვერც ერთი ნაფიცი ქრისტიანი—მისტიკი,

---

## მგზავრის შენიშვნები.

დასასრული.*)

ქ. ნოვოროსისკს დღეინდელი თვისი დიდი წარმატება, სიმდიდრე და აღებ-მიცემობა სულ ერთიანად ვლადიკავკაზის რკინის გზამ მიანიჭა, რომელმაც დიდად ასწია მნიშვნელობა ამ ქალაქისა, როცა იგი შეუერთდა ტიხორეცკაია-ცარიცინის რკინის გზის ლიანდაგს და ამით მან დაუკავშირა ნოვოროსისკი მთელ რუსეთის მარჩენალ და მასაზრდოებელ „დედას“ მდ. ვოლგას. როცა პირველად ნოვოროსისკს მოედვა ხმა, რომ ვლადიკავკასის რკინის გზის ამხანაგობას სურს ნოვოროსისკი შეუერთოს ტიხორეცკაია-ცარიცინსა—მთელი ქალაქი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, ყველას აღტაცების ჟრუანტელმა დაუარა ტანში, ყველა გაბედნიერების სურვილით იყო გატაცებული, ყველას დიდად შეუყვარდა სიცოცხლე და სამერმისო იმედებით, იდეალებით აღიჭურვა.

ამ გარემოებამ, რასაკვირველია, ერთი ათად გაუცხოველა შრომის, მოქმედების ენერგია, ნიჭი და ამიერიდან იქ გაშენდა დიდი აღებ-მიცემობის ქალაქი, რომელსაც, მოუცილებლად, ყოველი მოგზაური მიაქცევს დიდსა და განსაკუთრებულს ყურადღებას. ვლადიკავკასის რკინის გზის გაყვანამდის ნოვოროსისკი თითქმის რუსეთზე მოწყვეტილი იყო, მას შავი ზღვის პირად მდებარეს, თავისთვის ღრმად და სიამით ეძინა და ამ ძილს ხანდახან, ათასში ერთხელ, თუ დაახწევდა თავს მაშინ, როცა მის ნაპირს მოადგებოდა, რუსეთის სანაოსნო საზოგადოების გემი, ისიც რამდენიმე საათის განმავლობაში და, მერე, ისევ შვჩვეულ ძილს მისცემდა თავს. აღარ აწუხებდა მას, არც თავის თავზე ზრუნვა, არც სხვა ქვეყნების ამბავი, იყო და იყო იგი ერთს წერტილზე უიმედოთ გაყინული...

მაგრამ, აი, დადგა სანატრელი დროც. ვლადიკავკასის რკინის გზის ამხანაგობამ დაიწყო გზის მუშაობა, იმ წამსვე ნოვოროსისკის ქალაქის ჭაობიანი ადგილები დაყვეს სამოსახლო ადგილებად, თვალის დახამხამების უმალვე ამოაშვრეს, მოზვინეს ეს ჭაობები, მაზე შვენიერი ქვითკირის სახლები წამოდგეს, გაშენდა მცხოვრებთა კარ-მიდამო, გაიყვანეს ახალ-ახალი ქუჩები, გააკეთეს მოედნები, ბაღები, გაიმართა სასტუმროები, რესტორანები, კომერციული კანტორები, საქონლის დასაწყობი ადგილები (სკლადები), დიდი და მდიდარი მაღაზიები და, ახლა, დღეინდელი ნოვოროსისკი, რომ შევუდაროთ იმას, რაც იყო იგი ამ თუთხმეტი წლის წინათ, გასაკვირველს, პირდაპირ საარაკო განსხვავებას შეამჩნევთ. და ეს სულ რკინის გზის მეოხებით მოხდა ასე.

მართალია, ნოვოროსისკის მცხოვრებლებს ყველა იმედი და მოლოდინი არ გაუმართლდა. საქმე ის არის, რომ ნოვოროსისკს ცოტა მარცხი მოუვიდა მაშინ, როცა აქ კომერციულ პორტს აკეთებდენ. პორტის წინანდელი გეგმა შესცვალეს და იმ რთული პორტის მოთხოვნილების მაგივრად, რომელსაც მოყვებოდა მრავალ-გვარი და მრავალ-ფეროვანი შენობანი და მრავლის უმრავლესი სამუშაო საქმეები, ააგეს მხოლოდ და ააშენეს ზღვის უბეში ორი დიდი

*) იხ. „შინ. საქ. № 9.

კედელი ნავთსადგურის დასაფარავად დიდი ღელვისა და ქარიშხალისაგან.

მაგრამ ინჟენერის ს. ი. კერბედზის თავგამოდებულმა ენერგიამ და ვლადიკავკასის რკინის გზის ამხანაგობის მუშაობამ მაინც მოაწყო უდიდესი და უმდიდრესი ხორბლის შესანახი ბეღლები, აგრეთვე გამართა კოლოსალური, გასაკვირებელი, დიადი ელევატორი ყოველგვარი ახალი ტეხნიკურის გაუმჯობესობით და ზღვიდან მოსული გემების მარჯვედ მისადგომადაც საუცხოოდ მოაწყო ნოვოროსისკის სადგური.

ახლა ქ. ნოვოროსისკს უნდა ბათომს წაართვას ბაქოს კეროსინის ექსპორტი, რადგან ვლადიკავკასის რკინის გზამ პეტროვსკის რკინის გზის ლიანდაგით შეუერთა ბალაჯარაში კავკასიის აქეთა მხარის რკინის გზებს და პირდაპირ დერბენტზე გაატარა იგი. ამგვარად, თუ ეს იმედებიც გაუმართლდა ნოვოროსიელებს, ნოვოროსისკის ხელში იქნება ვოლგის და დონის მდიდარი აუზების პურისა და ბაქოს უმდიდრესი კეროსინის მთელი საზღვარგარეთ გატანის ექსპორტის დიადი საქმე და, რა თქმა უნდა, იგი უპირველესი პორტიც გახდება მთელ რუსეთში. აქ ახლა დიდათ აყვავებულია და განვითარებულიც მრეწველობა და ვაჭრობა ცემენტის წარმოებისა, რომელმაც გამოიწვია ზავოდების გაკეთება გელენჯიკშიაც და ნოვოროსისკი შეიქნა საგუბერნიო ქალაქიც ახლად დაწესებულ შავი ზღვის გუბერნიისაც...

ხომლელი.

## სიტყვა მოძღვრის თვისებათა შესახებ, თქმული მღვდლად კურთხევის დროს გერასიმე ხაჟომიას მიერ.

„სახე ექმენ მორწმუნეთა მათ სიტყვითა, სვლითა, სიყვარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა“ (ა. ტიმ. 4 12).

შიშითა და კრძალვით მივიღებ მოძღვრის დიდსა მოვალეობასა და გულწრფელად მზად ვარ ვემსახურო ღმერთსა და მეუფესა ჩვენსა იესო ქრისტესა, ვასწავლო წმიდა მისი მცნებანი, მივაგო „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“ და ვქადაგებდე, ქვეყანასა ზედა მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას (ლუკ. 2 14).

ვემზადებოდი რა ამ დიდისა სამსახურისა მისაღებად, არა ერთხელ მიფიქრნია იმა მოვალეობის შესახებ, რომელიც აძევს ეკლესიის მსახურსა; მიკითხავს და გავცნობივარ სამღვთო წერილის იმ ადგილებს, რომელნიც შეიცავენ სწავლასა მოძღვართა თვისებათა შესახებ, განსაკუთრებით გულდასმით მიკითხავს ეპისტოლენი პავლე მოციქულისა, რომელიც არა ერთგზის იძლევა დარიგებას მოძღვართა მოვალეობაზე.

ყველა დარიგება და სწავლა მოძღვართა თვისებათა შესახებ წმ. პავლე მოციქულისა შეიძლება გამოვსთქვათ მოკლეთ, მაგრამ ფრიად ღრმა-აზროვან შემდეგი მისივე სიტყვებით: „სახე ექმენ მორწმუნეთა მათ სიტყვითა, სვლითა, სიყვარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა. (ა. ტიმ. 4 12) და ესრეთ, პირველად, თანანმად წმ. პავლე მოციქულის სწავლისა, მოძღვარი უნდა იძლეოდეს სახესა, ანუ მაგალითსა, სიტყვისას, ე—ი, იგი უნდა იყვეს შემკული ჭეშმარიტი სიტყვითა.

რას, ნიშნავს მოძღვრისათვის სახედ ყოფა სიტყვისა?

„სიტყვა“ აქ არის ნახმარი ნაცვლად საღვთო მეცნიერებისა, საღვთო წერილისა, რომელიც არის ჭეშმარიტი სიტყვა ღვთისა; როდესაც წმ. მოციქული ბრძანებს, სახედ ექმენ სიტყვითა, ეს იმას ნიშნავს, რომ მოძღვარმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს საღვთო წერილი. ამ მხრივ მოძღვარი მუდამ ხელმძღვანელობდეს ღვთის სიტყვით, რომელიც წმიდათ არის დამარხული საღვთო წერილში და საღვთო გადმოცემაში; იოტის ოდნათაც არ უნდა გადასცდებოდეს მას მოძღვარი და განმარტვიდეს მას არა მოძღვრებითა და მცნებითა კაცთასა. (მათ. 15 9.). მხოლოდ ის მოძღვარი, რომელიც ასწავლის საღვთო ჭეშმარიტებას, ხელმძღვანელობს მარტოოდენ საღვთო წერილით და განმარტავს მას მოციქულთა და დიდთა მსოფლიო მამათა მოძღვრებათა თანახმად, არის ჭეშმარიტი

მოძღვარი. მხოლოდ ასეთი მოძღვარი მისცემს მორწმუნეთა სახესა, ანუ მაგალითსა სიტყვისას. მაგრამ, თუ სიტყვა მოძღვრისა არ არის გულწრფელი, თუ მას კეთილად არ ესმის სიტყვა ღვთისა, თუ ის არა ჭეშმარიტ მოძღვრებას გადასცემს და მაცდურებაში შეიყვანს მორწმუნეთა, მაშინ ის არ იქნება კეთილი მწყემსი. უკეთესია ასეთმა კაცმა უარი სთქვა მღვდლობაზე, რადგან უფალი საშინელი სასჯელის ღირსად სთვლის ცრუ მოძღვართა. იგი ბრძანებს: „რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი, ჩემდა მომართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა დამოთუიკიდოს წისქვილი ქედსა და დაინთქას იგი უფრსკულსა ზღვისასა. მათ. 18, 6.

მეორედ სიტყვისაებრ წმ. პავლე მოკნქულისა, მოძღვარი უნდა იყვეს შემკული სარწმუნოებითა.

როგორი უნდა იყვეს სარწმუნოება მოძღვრისა? წმინდა მოციქულნი უბრალო მორწმუნეთაგან, რომელთაც სწყურიათ საუკუნო ცხოვრება, მოითხოვენ სარწმუნოებას ღრმას და ცოცხალსა; თუ ასეთი უნდა იყოს სარწმუნოება საზოგიდოდ ყველა მორწმუნე ქრიტიანეთა, მაშინ სარწმუნოება მოძღვრისა, უნდა იყოს ფრიად გამოცდილი; სარწმუნოება მისი უნდა იყოს მტკიცე, როგორც ფოლადი; შეურყეველი, როგორც სალი კლდე, სპეტაკი, ვითარცა თოვლი.

როგორც ხორციელი ექიმი, თვინიერ ცოდნისა სნეულთა ავადმყოფობისა, ვერ შესძლებს მათ განკურნებას, აგრეთვე სულიერი მოძღვარი, თვინიერ სარწმუნოებისა, ვერ შესძლებს მორწმუნეთა სულიერ უძლურებათა დატკბობას.

უნდა ვსთქვათ ამასთანვე ისიც, რომ როგორიც არის სარწმუნოება ადამიანისა, ისეთივეა მისი გარეგანი ცხოვრებაც. თუ ადამიანის სარწმუნოება არის წმინდა და ჭეშიარიტი, მისი ცხოვრებაც არის სპეტაკი და სათნოიანი, რომლის მაგალითს უნდა იძლეოდეს აგრეთვე კეთილი მოძღვარი.

მესამე, წმ. მოციქული პავლე სულიერ მოძღვართაგან მოითხოვს ქრისტიანულ სიყვარულსა.

რა არის ქრისტიანული სიყვარული?

სიყვარული ღვთაებრივი გრძნობაა! იგი სულია მთელი ქვეყნიერებისა! სიყვარული შემომქმედებითი ძალაა და უიმისოთ ვერც ერთი ქმნილობა ვერ შესძლებდა სიცოცხლეს, სწორეთ ისე, როგორათაც შეუძლებელი იქნებოდა სიცოცხლე თვინიერ მზის სხივებისა, თვინიერ ჰაერისა. თვით ზერელე დაკვირვებაც ცხოვრებისა დაარწმუნებს ადამიანს ამაში.

თვით ღმერთი, როგორც გვასწავლის საღვთო წერილი, სიყვარული არს. (1 იოან 4, 16.)

კერძოთ, რომ ქრისტიანული სიყვარული მთავარი ძარღვია ცხოვრებისა, ამას ნათლად გვაჩვენებს თვით საღვთო წერილი, როცა გვასწავლის: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნება. და მეორე მგზავსი ამისი: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ამა ორთა მცნებათა, ბრძანებს უფალი, ყოველი სჯული და წინასწარმეტყველნი დამოკიდებულ არიან“. (მათ. 22. 36-40.) აჰა, რაოდენ დიდი და აუცილებელი ნიჭი ყოფილა სიყვარული! მაცხოვარი ყოველ ადამიანთაგან მოითხოვს სიყვარულსა.

და თუ ყოველ ქრისტიანეს ვალიდ აძევს შეიყვაროს მოყვასი, ვითარცა თავი თვისი, მაშინ ამ მცნების აღსრულება უფრო შეეფერება მოძღვარს, რომელმაც, ჭეშმარიტად, არ უნდა იცოდეს „წარმართი და ურია, არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტეს“ ხედვიდეს. (კალას. 3, 11.)

და ესრეთ, მოძღვარი უნდა იყოს შემკული ჭეშმარიტი სიტყვითა, მტკიცე სარწმუნოებითა და წრფელის სიყვარულითა, რომელსაც ნუ მომაკლებ მე, ღმერთო, მარადის, რათა ღირსეულად შევასრულო ესე დიდებული მსახურება წინაშე წმიდისა შენისა საკურთხეველისა. ამინ.

# მოწოდება.

## ქართველ საზოგადოებისადმი.

ჩვენ საზოგადოებას უკვე ეუწყა, რომ განზრახულია ჩვენი დიდებული მწერლის **ილია ჭავჭავაძის თხუზულებათა** განსაკუთრებული გამოცემა. ყველა ქართველს ესმის რა ადგილი უჭირავს დიდებულ და დაუვიწყარ ილიას ჩვენ ეროვნულ კულტურის განვითარებაში: არ მოიპოვება არც ერთი დარგი ამ კულტურისა, არ არსებობს თითქმის არც ერთი საზოგადოებრივი დაწესებულება, სადაც არ ემჩნეოდეს ილიას გავლენა, არ გამობრჭყვინავდეს მისი გენია, მისი კურთხეული ნიჭი. ვით ზღვარული ბუმბერაზი, იგი სწორეთ რომ მეფობს ორმოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენ ეროვნულ კულტურულ შეგნება განვითარებაში, მეფობს ჩვენი ინტელიგენციის აზროვნებაში. რა მიმართულებისაც უნდა იყოს მომავალი ისტორიკოსი, რომელიც კი შეეხება მე-19 საუკ. მეორე ნახევრის ისტორიას, გაშტერდება, როდესაც თვალწინ წარმოუდგება მთელი თავის ნიჭით, გავლენით და მნიშვნელობით ის, ვინც შეჰქმნა ჩვენ ისტორიაში მთელი ხანა. ერის ცხოვრებაში იბადებიან ისეთი გმირები, რომლის სახელის ხსენებაზე ყველას, ვისაც კი სამშობლო და მისი კულტურული აყვავება რაიმეთ მიაჩნია, გული უძგერს და ქედს იხრის. გვიახლოვდება მგოსნის დაბადების დღიდან 75 წლ. შესრულება და მისი ძეგლის კურთხევა. საჭიროა ზედვე მოჰყვეს მისი უკვდავი ნაწარმოების ღირსეული ძეგლი, მათი შესაფერი გამოცემა.

**წ. კ. გ. ს. ნება დართო ექიმ მიხ. გედევანიშვილს** გამოსცეს ეს თხუზულებანი შესაფერი სახით და ღირსებით. თვით გამომცემელს საქმის დაწყებისთანვე მიზნად მარტოდ მარტო ეროვნულ კულტურულ ინტერესი ჰქონდა, რის გამოც მან საჭიროთ სცნო გამომცემლობისთვის საზოგადოებრივი ხასიათი მიეცა და ამ მოსაზრებით მოიწვია განსაკუთრებული სარედაქციო კომისია.

კომისიამ ითათბირა ამ გამოცემის შესახებ, სავსებით მიემხრო გმომცემლის აზრს, რომ გამოცემას მარტო კულტურული ხასიათი ჰქონდეს. კომისიამ გაითვალისწინა საქმის სირთულე და სიძნელე, აგრეთვე წიგნებისა და გასაღების მოუწყობლობა ჩვენში და, იგი მაინც იმ აზრს დაადგა, რომ ყოველგვარი ღონე და საშუალება იხმაროს და გამოცემა ღირსეული და შესაფერი იქმნას. ჯერ-ჯერობით გამოიცემა მხოლოდ ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოებნი, გარდა თარგმანებისა, სურათებით, განსაკუთრებულ ქაღალდზე, ყდით. წიგნი ერთ ტომად გამოვა, ვინაიდან ზომითაც და ღირსებითაც უფრო თვალსაჩინო და შნოიანი იქნება და ფასითაც ნაკლები დაჯდება, შიგ ჩაერთობა ბიოგრაფია და მისი ნაწარმოების კრიტიკული განხილვა. რაც შეეხება ფასს კომისია იმ აზრს დაადგა რომ დაცულ იყოს ერთის მხრივ გამოცემის ღირსება და მორეს მხრივ იგი რაც შეიძლება ნაკლებ და ხელ მისაწდომ ფასათ დაეთმოს ხელის მომწერთ.

კომისიამ იქონია მხედველობაში ყოველგვარ მასალის ღირსებულობა, ითათბირა შესახებ ილუსტრაციებისა, და ერთობ წიგნის გარეგნობისა, გაითვალწინა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი მასალის შეძენა და საქმის აღსრულება ადგილ ბრივ შეუძლებელია და გადასწყვიტა წიგნი მიეწოდოს ხელის მომწერთ 8 მან., რა ფასიც კომისის აზრით ზომიერია. კომისია იმედოვნებს, რომ გამოცემა დასრულდება და წიგნი დარიგდება 1913 წლ. განმავლობაში.

კომისია არა ჰმალავს, რომ ამ გვარ გამოცემას დიდი შრომა და უნარი სჭირია, მაგრამ ამასთანვე იმედოვნებს, რომ ჩვენი საზოგადოება მხურვალე თანაგრძნობით მიეგებება დიდ მნიშვნელოვან საქმეს. რადგანაც განზრახულია არა მარტო უკვე დაბეჭდილი, არამედ დუბეჭდავ ნაწარმოებების, აგრეთვე ბიოგრაფიის მოქცევა ხსენებულ წიგნში და აგრეთვე განზრახულია შემდეგ ილიას დანარჩენ ნაწარმოებთა გამოცემა, სადაც მოთავსებული იქნება სხვათა შორის ნაწარმოებების ვარიანტები.

კომისია მიმართავს ყველას, ვისაც რაიმე შესაფერი მასალა, მაგ. ილიას ნაწერები, წერილები, საბიოგრაფიო ცნობები, სურათები ნაწარმოებების ვარიანტები და სხვა, მოეპოება მიაწოდოს გამომცემელს არა უგვიანეს ამა წლის ნოემბრის პირველამდე, ვინაიდგან შემდეგ გამოგზავნილით ველარ ისარგებლებენ.

ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც ეს მოწოდება გადაბეჭდონ.

კომისიის წევრნი: მიხ. გედევანიშვილი, კიტა აბაშიძე, ივ. გომართელი ივ. ხურაბიშვილი, გრ. ყიფშიძე, იაკ. ფანცხავა, ი. გედევანიშვილი.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჯედლიძე.**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა.**

ქ. ქუთაისში, სტამბა „ძმობა“ კაზაკოვის შესახვევში სახლი № 17.